

შპს რეალტრანს სოლუშენი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

	კომ.	31.12.18	31.12.17
გრძელვადიანი აქტივები			
წმინდა ფიქსირებული აქტივები	5	1 211.66	-
		1 211.66	-
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		2 951 652.13	738082.91
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	7 884 063.90	1 769 260.35
ფული და ფულადი ექვივალენტები	7	1 379 467.30	12 534.81
		12 215 183.33	2 519 878.07
		12 216 394.99	2 519 878.07
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		55 365.91	55 365.91
გაუნაწილებელი მოგება		(384 490.15)	(409 847.24)
		(329 124.24)	(354 481.33)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	8	13 653 197.49	4 448 919.01
		13 653 197.49	4 448 919.01
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	(1 094 513.20)	(1 573 993.48)
საგადასახადო ვალდებულებები		(13 165.06)	(566.13)
		(1 107 678.26)	(1 574 559.61)
		12 216 394.99	2 519 878.07

აღმასრულებელი დირექტორი

მ. აბაშიძე

მთ. ბუღალტერი

შპს რეალტრანს სოლუშენი
 სრული შემოსავლების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)

	კომ.	2018
მოგება/(ზარალი) სამეურნეო ოპერაციებიდან		14 458 065.67
ამონაგები		(14 570 094.26)
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(112 028.59)
საოპერაციო მოგება		
სხვა შემოსავლები	10	1 607 077.62
მიწოდების ხარჯები		(903 707.49)
ადმინისტრაციული ხარჯები	11	(108 360.10)
სხვა ხარჯები	12	(457 624.35)
მოგება დაბეგვრამდე		137 385.68
მოგების გადასახადი		25 357.09
მთლიანი სრული შემოსავალი		

აღმასრულებელი დირექტორი
 მ. აბაშიძე

მთ. ბუღალტერი
 ი. ხალატიანი

შპს რელტრანს სოლუშენი

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის (ლარი)

2018

პერიოდის მოგება/(ზარალი)

25 357.09

საოპერაციო საქმიანობა

-6 114 803.55

საეჭრო და სხვა მოთხოვნები

-2 213 569.22

მარაგები

479 480.28

საეჭრო და სხვა ვალდებულებები

-12 598.93

გადასახადები

(7 861 491.42)

საინვესტიციო საქმიანობა

(1 211.66)

ძირითადი საშუალებების ცვლილება

(1 211.66)

საფინანსო საქმიანობა

პარტნიორთა შენატანები

9 204 278.48

წმინდა ცვლილება სესხებში

9 204 278.48

ფულადი სახსრების წმინდა ცვლილება

1 366 932.49

საწყისი ფული

12 534.81

საბოლოო ფული

1 379 467.30

აღმასრულებელი დირექტორი

მ. აბაშიძე

მთ. ბუღალტერი

ი. ხალატიანი

შპს რეალტრანს სოლუშენი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (ლარი)

	კაპიტალი	მოგება/(ზარალი)	ჯამი
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	55 365.91	(409 847.24)	(354 481.33)
კაპიტალის ცვლილება	-	-	-
მიმდინარე პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	25 357.09	25 357.09
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	55 365.91	(384 490.15)	(329 124.24)

აღმასრულებელი დირექტორი

მ. აბაშიძე

მთ. ბუღალტერი

ი. ხალატიანი

კორპორატიული სტრუქტურა

შპს “რელტრანს სოლუშენი“ (ს/ნ 405062462)-ს მისამართია: ქ. თბილისი, ნიკოლოზ ყიფშიძის ქ. #2ბ, სად.1, სართ. 3, ბ.6

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს რკინიგზით გადაზიდვის მომს-ბა, ასევე ქვანახშირის, ხის მორების, ბენზინის იმპორტი და საბითუმო რეალიზაცია.

მომზადების საფუძვლები

ფისკალური წელი

მენეჯმენტის მიერ კომპანიის ფისკალურ წლად მიჩნეულია კალენდარული წელი რომელიც მოიცავს პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისა.

სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი რადგან, იგი როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა, სრულად ასახავს კომპანიის მიერ განხორციელებული ოპერაციების ეკონომიკურ არსს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნით ქართული ლარი არის ანგარიშგების ვალუტა.

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული წინარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში და მას მუდმივად იყენებს კომპანია.

უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების ლარში კონვერტაცია ხორციელდება ამ თარიღისთვის დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში არსებულ ფულად აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის სხვაობა პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ღირებულებასა და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით კონვერტირებულ ღირებულებას შორის.

უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული არაფულადი აქტივების და ვალდებულებების სამუშაო ვალუტაში კონვერტაცია ხდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის დადგენილი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით აღრიცხული არაფულადი ერთეულების კონვერტაცია ხდება ოპერაციის განხორციელების დღისათვის დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

კონვერტაციით გამოწვეული საკურსო სხვაობები აისახება სრულ შემოსავლების ანგარიშგებაში.

2018 წლის 31 დეკემბრისათვის		
1 US Dollar	USD	2.6766
1 Euro	EUR	3.0701

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ნაღდ ფულს, მიმდინარე საბანკო ანგარიშებს და იმ საბანკო დეპოზიტებს რომელთა დაფარვის ვადა 3 თვეზე ნაკლებია.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები რომელიც აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს, თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით რაც მოიცავს აქტივის აღიარების დღეს გადახდილ ფულს ან ფულად ექვივალენტს, ტრანსპორტირების და დატვირთვა-ჩამოტვირთვის, აგრეთვე სამუშაო მდგომარეობაში მოყვანისათვის საჭირო სხვა დანახარჯებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ აქტივი ფასდება თვითღირებულებით რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთით.

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. კომპანიას განსაზღვრული აქვს ძირითადი საშუალებებისთვის სასარგებლო გამოყენების შემდეგი ვადები:

ოფისის აღჭურვილობა

5 წელი

ძირითადი საშუალებების ჩანაცვლების ღირებულება აისახება საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მათი გაწევისთანავე.

ამორტიზაცია აისახება მოგება ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების მიახლოებითი ვადები 5-დან 10 წლამდე პერიოდს შეადგენს.

კაპიტალი

კაპიტალი მოიცავს დამფუძნებლის შენატანებს და აკუმულირებულ მოგება/(ზარალს).

გადასახადები

გადასახადები კანონით დადგენილი სავალდებულო შენატანები სახელმწიფო თუ ადგილობრივ ბიუჯეტებში რომელიც ამოიღება გადასახადით დასაბეგრი ბაზიდან დადგენილი განაკვეთის მიხედვით.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი დივიდენდად გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია 2016

წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განაწილებულ მოგებას განსაზღვრავს როგორც პარტნიორზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. გარდა დივიდენდის გაცემისა, ადგენს აგრეთვე სხვა ოპერაციებსაც რომლებიც მიიჩნევა მოგების განაწილებად.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაითვლება ფასდათმობები.

შემოსავალი მომსახურებიდან აღიარდება, როცა:

- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება დაითვალოს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს;
- ანგარიშგების თარიღისთვის კონტრაქტის დასრულების სტადია საიმედოდ იქნეს შეფასებული; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იყოს შეფასებული;

ხარჯის აღიარება

ხარჯების აღიარება მოგებაში ზარალში ხდება დარიცხვის პრინციპით.

ფინანსური ანგარიშგების კომენტარები

კომ. 5 ფიქსირებული და არამატერიალური აქტივები

	31.12.2017	მიღება/(გასვლა)	31.12.2018
<u>ისტორიული ღირებულება</u>			
ოფისის აღჭურვილობა	-	1 232.20	1 232.20
	-	1 232.20	1 232.20
<u>აკუმულირებული ცვეთა</u>			
ოფისის აღჭურვილობა	-	(20.54)	(20.54)
	-	(20.54)	(20.54)
<u>საბალანსო ღირებულება</u>			
ოფისის აღჭურვილობა	-	-	1 211.66
	-	-	1 211.66

კომ. 6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2018	31.12.2017
სავაჭრო მოთხოვნები	7 916 227.90	1 799 922.35
გადახდილი ავანსები	(32 164.00)	(30 662.00)
	7 884 063.90	1 769 260.35

კომ. 7 ფული და ფულადი ექვივალენტები

	31.12.2018	31.12.2017
ნაღდი ფული	1 941.41	3 207.38
ფული ბანკში	1 377 525.89	9 327.43
	1 379 467.30	12 534.81

კომ. 8 მიღებული სესხები

	31.12.2018	31.12.2017
მიღებული სესხები	13 653 197.49	4 448 919.01
გადასახდელი პროცენტები	-	-
	13 653 197.49	4 448 919.01

კომ. 9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2018	31.12.2017
ვალდებულებები		
მომწოდებლებთან	(1 094 513.20)	(1 573 993.48)
გადასახდელი ხელფასები	-	-
	(1 094 513.20)	(1 573 993.48)

კომ. 10 სხვა შემოსავლები

	2018
სხვა შემოსავალი	1 607 077.62
	1 607 077.62

კომ. 11 ადმინისტრაციული ხარჯები

	2018
შრომის ანაზღაურება	28 925.00
ცვეთ და ამორტიზაცია	20.54
მივლინება	400.00
საბანკო მომსახურება	76 367.76
საგადასახადო ხარჯი	6.06
სხვადასხვა ხარჯი	2 640.74
	108 360.10

კომ. 12 სხვა ხარჯები

	2018
სესხის პროცენტი	362 611.29
სხვა ხარჯი	31 620.29
უარყოფითი გადაფასება	63 392.77
	457 624.35